

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
მუსიკის ისტორიის მიმართულება  
კვლევის კოორდინაციის სამსახური

20-21 თებერვალი, 2026  
კონსერვატორიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი



სამეცნიერო კონფერენცია  
პიროვნება და საზოგადოება დროის კონტექსტში

ეძღვნება  
ვლადიმერ დონაძისა და პავლე ხუჭუას  
დაბადებიდან 120 წლისთავს

კონფერენციის აბსტრაქტები

## **ორმაგი პორტრეტი ერთ ინტერიერში: ლადო დონაძე-პავლე ხუჭუა**

*მარინა ქავთარაძე*

ისტორიას განსაკუთრებით უყვარს ფუძემდებლები და საგანგებოდ აფასებს მათ ნამოღვაწარს. ასეთ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნიან ვლადიმერ (ლადო დონაძე) და პავლე ხუჭუა- თანამედროვე ქართული საისტორიო მუსიკოლოგიისა და მუსიკალური კრიტიკის ფუძემდებლები. ერთ წელს დაიბადნენ და ერთ წელს დატოვეს ეს წუთისოფელი (1905 -1985).

მუსიკის ისტორიის კათედრის დამაარსებელმა და მისმა პირველმა ხელმძღვანელმა (1937) პროფესორმა ლადო დონაძემ და ამავე კათედრის პროფესორმა პავლე ხუჭუამ თავისი სამეცნიერო, პედაგოგიური და კრიტიკულ-პუბლიცისტური მოღვაწეობით დიდი როლი შეასრულეს თანამედროვე მუსიკოლოგიის ფორმირებაში. მათ შექმნეს ქართული ისტორიული მუსიკოლოგიის მყარი ტრადიციები და სკოლა, რომელზეც აღიზარდნენ ქართველ მუსიკოსთა თაობები.

მოხსენება წარმოადგენს მცდელობას კომპარატიული მეთოდის გამოყენებით მოხდეს ლადო დონაძისა და პავლე ხუჭუას ღვაწლის წარმოჩენა, თითოეული მათგანის განსაკუთრებული პიროვნული და პროფესიული თვისებების დახასიათების გზით.

## **ისტორიული პარადიგმების საკითხი ლადო დონაძის გამოკვლევებში**

*დოდო გოგუა*

დოდო გოგუას მოხსენებაში „ისტორიული პარადიგმები ლადო დონაძის გამოკვლევებში“ განხილულია მხოლოდ ის მეცნიერული დებულებები, რომლებმაც ურთიერთგანპირობებული, ერთიანი სააზროვნო სისტემის სახით, ასახვა და განვითარება ჰპოვეს მომხსენებლის სალექციო კურსებსა და კვლევებში. ამ სისტემის ამოსავალს წარმოადგენს ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიის განხილვა ზოგად ევროპული კულტურის საერთო კონტექსტში; მუსიკალური რომანტიზმის აღქმა ორი გამჭოლი „შუბერტისული“ და „ვებერისული“ ტენდენციის სახით; რომანტიკული სიმფონიზმის ძირითადი ჟანრობრივი ნაირსახეობებისა, სასიმღერო სიმფონიზმის ცნების, მასთან დაკავშირებული სტილისტური თავისებურებების, ფორმისშემქმნელი და განვითარების პრინციპების განსაზღვრა; „ქართული მუსიკალური რომანტიზმის“ , როგორც ეროვნული მსოფლაღქმის თანდაყოლილი თვისება; ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ისტორიული როლის დონაძისული შეფასების ასპექტები.

## ვლადიმერ (ლადო) დონაძე - მეცნიერი და პედაგოგი

### რუსუდან წურწუშია

ვლადიმერ დონაძე თანამედროვე ქართული ისტორიული მუსიკოლოგიის ფუძემდებელია. დიდია მისი დამსახურება საქართველოში ამ მეცნიერების განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული მუსიკის ისტორიის ნარკვევების ავტორმა, დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯაახიშვილმა ქართულ მუსიკალურ ისტორიაგრაფიას თავისი ნაშრომით ფასდაუღებელი სამსახური გაუწია და ფუნდამენტი შეუქმნა მე-20 საუკუნის ქართული მუსიკის შესწავლას,

დონაძემ თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი როლი შეასრულა თანამედროვე მუსიკოლოგიის ჩამოყალიბებაში, კათედრის დამაარსებელმა და პირელმა ხელმძღვანელმა (1937წ.) ხელმძღვანელობის 40 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ეროვნულ კონსერვატორიებში პირველად შემოიღო თბილისის კონსერვატორიაში ქართული მუსიკის ისტორიის კურსი, შექმნა თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური სკოლა, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი პროფესიის ერთგულება და პროფესიონალიზმია.

მიუხედავად იმისა, რომ დონაძის ნაშრომების სია ძალიან დიდი არ არის, მისი რამდენიმე ნაშრომი - მონოგრაფია „ზაქარია ფალიაშვილი“ და ნარკვევები ქართველი კლასიკოსების შესახებ წიგნში „ქართული მუსიკის ისტორია“, დღემდე ქართველი მუსიკოლოგების სამაგიდო ნაშრომებია, სადაც გამოთქმულია თითქმის ყველა ძირითადი დებულება ამ კომპოზიტორების შესახებ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო 40-იან წლებში მისი პირველი გამომხმარებები შალვა მშველიძისა და ანდრია ბალანჩივაძის პირველ სიმფონიურ ნაწარმოებებზე, ხოლო მისმა ნაშრომმა შუბერტის სი-მინორული სიმფონიის შესახებ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და საფუძველი დაუდო ე.წ. „სასიმღერო სიმფონიზმის“ ცნებას არა მარტო საბჭოთა მუსიკოლოგიაში.

ჩემი, როგორც კონსერვატორიაში მისი აღზრდილი სტუდენტის ურთიერთობა ბატონ ლადოსთან, უფლებას მაძლევს გამოვთქვა მოსაზრება მისი პედაგოგიკის ერთ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან თავისებურებაზე.

### 3. ღონაძის ერთი კონცეპტუალური დებულება ქართული საოპერო რეჟისურის კონტექსტში

*თამარ წულუკიძე*

ქართული მუსიკისმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ვ. ღონაძის ნარკვევი „აბესალომ და ეთერი“ როგორც ანტიკური სტილის ტრაგედია“ დაწერილია 1947 წელს, მაგრამ იმ პერიოდში, საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში მისი დაბეჭდვა არ გახდა შესაძლებელი. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომის მეცნიერული ღირებულება უშუალო კავშირშია მასში გადმოცემული კონცეფციის სცენურ განსხეულებასთან, რაც ეტაპობრივად, გაუცნობიერებლად თუ გაცნობიერებულად ხდებოდა თბილისის ოპერის სცენაზე და ქართული საოპერო რეჟისურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

„აბესალომის“ ანტიკურ ტრაგედიასთან მიახლოების ნიშნები ფიქსირდება თბილისის საოპერო სტუდიის დადგმაში (1936 წ., რეჟისორი ა. წუწუნავა). ამის გაცხადების საფუძველს გვაძლევს ჩვენამდე მოღწეული სარეჟისორო ლიბრეტო, თუმცა იმ დროისათვის ჯერ არც ღონაძის ნაშრომი ყოფილა მოვლინებული და მითუმეტეს სპექტაკლში ანეიკურ ტრაგედასთან შეხების აღნიშვნა წარმოუდგენელი იქნებოდა.

პირველად, საოპერო სცენაზე „აბესალომის“ ანტიკურ თეატრთან დაკავშირების მცდელობის შესახებ, ითქვა თბილისის ოპერის თეატრში 1966 წელს განხორციელებულ დადგმაზე მსჯელობისას (რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი). ნახსენები იქნა ვ. ღონაძის ნაშრომიც, თუმცა წარმოდგენის საერთო უარყოფითი შეფასების ფონზე აღნიშნული კონცეფციაც არ აღმოჩნდა მომგებიან მდგომარეობაში,

1986 წელს, ამავე თეატრის სცენაზე განხორციელებულმა „აბესალომის“ დადგამ (რეჟისორი მ. თუმანიშვილი) გამოიწვია პირველი ღია მსჯელობა ოპერის, როგორც ანტიკურ ტრაგედიის წარმოსახვაზე. რეჟისორის კონცეპტუალური ქარგა გარკვეულწილად ემთხვეოდა ღონაძის სტატიაში ჩამოყალიბებულ არგუმენტებს.

„აბესალომის, როგორც ანტიკურის ტრაგედიის“ ნიშნები მკაფიოდ გამოიკვეთა ასევე ოპერის ბოლო დადგმაში (2016წ., რეჟისორი გ. ჟორდანიას), რამაც საბოლოოდ დაადასტურა აღნიშნული კონცეფციის მხატვრული ხორცშესხმის დამკვიდრება და მისი სიცოცხლისუნარიანობა.

## **მუსიკოლოგი როგორც კულტურული დისკურსის ფორმატორი: ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე რეალობა**

*ნია ბარაბაძე*

მუსიკა, ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად, არ წარმოადგენს იზოლირებულ ფენომენს. ის ფორმირდება და მნიშვნელობას იძენს იმ კულტურულ, სოციალურ და ტექნოლოგიურ რეალობაში, რომელშიც იქმნება. მუსიკოლოგია თავისი ძირითადი, ზოგადი განმარტების თანახმად მუსიკას სწორედ ზემოთთქმული ასპექტების გათვალისწინებით იკვლევს და ცხადია არ შემოიფარგლება მხოლოდ მუსიკალური ტექსტის ანალიზით, არამედ მოიაზრებს საკუთრივ მუსიკის შექმნის, შესრულების, გავრცელებისა თუ აღქმის პროცესებს სწორედ იმ კონტექსტში, რომელშიც ის არსებობს.

მონსენება ფოკუსირდება იმ გამოწვევებსა თუ პერსპექტივაზე, რომელიც მუსიკოლოგიას თანამედროვე სამყაროში აქვს. როგორ შეიცვალა დროსთან ერთად მუსიკოლოგიის როლი, როგორც გლობალურ ისე ეროვნულ მაგალითზე. როგორია ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა, ქართული მუსიკოლოგიის სათავეები, ტრადიცია და თანამედროვე რეალობა. საინტერესოა, როგორ განვითარდა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული აღქმები მუსიკის შესახებ და რა როლი აქვთ ამ პროცესში პროფესიონალებს, შეიძლება თუ არა იქცეს მუსიკოლოგიის აზრი უფრო ფართო კულტურული ნარატივის შექმნაში მნიშვნელოვან იმპულსად? თანამედროვე სამყაროში, სადაც ტექნოლოგია, ხელოვნური ინტელექტი და სოციალური ქსელები ჩვენს ყოველდღიურობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, როგორ შეცვალა მუსიკოლოგიის საქმიანობა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს როგორც მეცნიერულ, ისე საგანმანათლებლო და კრიტიკულ აქტივობებს. სად გადის ზღვარი უბრალოდ აზრის გამონატვას და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას შორის, როგორ ვითარდება დღეს მუსიკოლოგია როგორც დარგი და სად ვართ ჩვენ?

### **პედაგოგი და მენტორი: მოგონებები ვლადიმერ დონაძეზე**

*მარინა გეგეშიძე*

პროფესორ ლადო დონაძის უკანასკნელი სტუდენტის, მარინა გეგეშიძის მოგონება თბილისის კონსერვატორიაში დონაძის კლასში გატარებული წლების, სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის სპეციფიკისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

### **მოგონებები ჩემს მასწავლებელზე**

*მანანა ახმეტელი*

მანანა ახმეტელის მოგონებაში საუბარი იქნება მის მიერ მუსიკოლოგიის პროფესიის არჩევანზე, კონსერვატორიაში სწავლის პროცესზე პროფ. პავლე ხუჭუას კლასში, ურთიერთობის თავისებურებებზე პედაგოგსა და სტუდენტს შორის; მოსწავლის თვალთ დროის დისტანციიდან დანახულ პავლე ხუჭუაზე როგორც მენტორსა და პიროვნებაზე.

## პავლე ხუჭუა - პუბლიცისტი, მეცნიერი და პედაგოგი

*მაია დათუნაშვილი*

პავლე ხუჭუა-ქართული სამუსიკისმცოდნეო მეცნიერებისა და კულტუროლოგიური ინსტიტუციების შექმნის სათავეებთან მდგომი გამოჩენილი მოღვაწეა. შეუდარებელია მისი ღვაწლი ქართული მუსიკოლოგიის ისტორიაში, როგორც გამორჩეული პუბლიცისტის, ორატორის, შესანიშნავი პედაგოგისა და დაუვიწყარი პიროვნული თვისებებით აღბეჭდილი ადამიანის, რომელმაც აღზარდა ქართველ მუსიკოლოგთა არაერთი თაობა. მოხსენებაში პავლე ხუჭუას ამ გამორჩეულ თვისებებზე იქნება გამახვილებული ყურადღება.

### **გრამფირფიტების ანთოლოგია „საქართველო – ხალხურ სიმღერებში“**

*ნატალია ზუმბაძე*

პ. ხუჭუას მუსიკოლოგიური ინტერესების სფეროში ქართული ფოლკლორიც შედის. უშუალოდ ამ თემატიკას ეხმიანება მისი მონოგრაფია „მარო თარხნიშვილი“ (1962), ხოლო მონოგრაფიებში – „მელიტონ ბალანჩივაძე“ (1950), „ზაქარია ფალიაშვილი“ (1974) და „დიმიტრი არაყიშვილი“ (1979) – ეროვნული მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა შემოქმედება ხალხურ მუსიკასთან ურთიერთობის მხრივაც განიხილება.

ამ მოხსენების თემა ზემოხსენებული ნაშრომებისგან განსხვავებული, ხმოვანი გამოცემაა, რომელსაც წიგნაკი ახლავს. ეს არის პ. ხუჭუას მიერ შედგენილ-რედაქტირებული გრამფირფიტების ანთოლოგია „საქართველო – ხალხურ სიმღერებში“ (1968).

ანთოლოგიაში შესული ნიმუშების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ მუსიკის ისტორიკოსის დამოკიდებულება ქართული ხალხური მუსიკის, მისი სასიმღერო და საკრავიერი შემოქმედების, სოფლური და ქალაქური შტოების, სოფლური სიმღერის დიალექტური და ჟანრული მრავალფეროვნების, მელოდიური, ჰარმონიული და მეტრულ-რიტმული თავისებურებების, მრავალხმიანობის, ასევე – საბჭოური ფოლკლორისა და საეკლესიო გალობის მიმართ; შევაფასოთ შესაბამისობა გამოცემის მიზანსა და განხორციელებულ შედეგს შორის.

ნაშრომი ააშკარავებს პ. ხუჭუას მიდგომას ანთოლოგიის ტიპის გამოცემისადმი – მუსიკალური მასალისა და შემსრულებლების შერჩევისადმი, უშუალოდ ხალხური შემსრულებლობის საკითხებისადმი.

შესწავლილი მუსიკალური მასალა გრამფირფიტების ანთოლოგიას ისტორიული ღირებულების მქონე გამოცემად წარმოაჩენს.

**მარო თარხნიშვილის სალოტბარო და საშემსრულებლო შემოქმედება (პავლე ხუჭუას ნაშრომების მიხედვით)**

**შატო კუბათაშვილი**

მოსხენებაში განხილულია პირველი ქართველი ქალი ლოტბარისა და ქართლ-კახური ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის, მარო თარხნიშვილის და მისი ანსამბლებისა და გუნდების შემოქმედება – რეპერტუარი და შემსრულებლობა. ყურადღება გამახვილებულია აღმოსავლური შტოს ქალაქურ სიმღერებზე, ბაიათებზე, რომლებსაც თარხნიშვილის სოლო გამოსვლები ხალხურ სიმღერებთან ერთად მოიცავდა.

თარხნიშვილისა და მისი გუნდების მომღერალთა პავლე ხუჭუასეული დახასიათება, რომელიც მოცემულია მონოგრაფიაში „მარო თარხნიშვილი“ (1962 წ.) და ხელნაწერ მასალებში, ამ ნაშრომში ეთნომუსიკოლოგიური კუთხით არის განხილული. მარო თარხნიშვილის სალოტბარო შემოქმედების ცვლილება გაანალიზებულია ორ ეტაპად – 1910-1930-იანი წლები და 1930-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე.

**ქართველ კომპოზიტორთა პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა პავლე ხუჭუას მონოგრაფიების მიხედვით**

**რუსუდან თაყაიშვილი**

მოსხენება მიზნად ისახავს გამოჩენილი მუსიკისმცოდნის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის, საზოგადო მოღვაწის პავლე ხუჭუას პუბლიცაციათა საფუძველზე ქართველ კომპოზიტორთა პედაგოგიური საქმიანობის მიმოხილვასა და დახასიათებას. აღნიშნულია, რომ ავტორის - თავად მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზატორისა და განმანათლებლის მიერ მონოგრაფიებში „ანდრია ყარაშვილი“, „მელიტონ ბალანჩივაძე“, „ზაქარია ფალიაშვილი“, „დიმიტრი არაყიშვილი“ ხაზგასმული და გამოკვეთილია კომპოზიტორთა პედაგოგიური და საგანმანათლებლო მოღვაწეობა და არსებული გარემო პირობები.

მონოგრაფიებში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით მოსხენებაში აღწერილია კომპოზიტორთა წვლილი მუსიკალურ-საგანმანათლებლო სფეროში, გამოკვეთილია მათი მოღვაწეობის მნიშვნელობა და საერთო მახასიათებლები - უცხოეთში მიღებული პროფესიული და საზოგადოებრივი გამოცდილების ეროვნული კულტურის სამსახურში გამოყენება, პროცესების მართვა, ცოდნის გავრცელება სხვადასხვა სახის სასწავლებლებში, კერძო პრაქტიკით, ეროვნული მუსიკის მოძიება, შეკრება, შესრულება, კვლევა და პოპულარიზაცია.

**პოლიტიკური ანგაჟირება და მუსიკალური ავანგარდი  
(ლუიჯი ნონოს შემოქმედების მაგალითზე)**

*ქეთევან ბოლამჯილი*

თანამედროვე მუსიკოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებს შორის, ბოლო დროს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს თემა: „კომპოზიტორი და პოლიტიკა“, კერძოდ, ამ საკითხის კვლევის, თითქოს, ყველაზე ბუნებრივი რაკურსი — საბჭოთა რეჟიმის და საკომპოზიტორო შემოქმედების ურთიერთობა.

ამასთან, მუსიკის და პოლიტიკის, და უფრო ფართოდ, კომპოზიტორის ანგაჟირების თემას სხვა რაკურსებიც აქვს, რომელთაგან მოხსენებაში ყურადღების ცენტრში მოექცევა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მუსიკალური ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერის, ლუიჯი ნონოს სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია და მისი, მუსიკით სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ესთეტიკური პრინციპები.

მოხსენებაში:

- დახასიათებულია ლუიჯი ნონოს სტილის ძირითადი პრინციპები;
- დახასიათებულია ნონოს სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია ე. წ. ევროკომუნიზმის კონტექსტში;
- განხილულია ნონოს შემოქმედების პირველი, პოლიტიკურად ანგაჟირებული პერიოდის ნაწარმოებები, მათ შორის, *Il canto sospeso*, *Intolleranza 1960*, *La fabbrica illuminata*;
- ნონო და დარმშტადტის სკოლა: მუსიკალური ენა, იდეოლოგია, სოციალური პოზიცია.

**მეცნიერულ ეთიკასა და პოლიტიკურ მითშემოქმედებას შორის - მუსიკოლოგია მესამე რაიხის პერიოდში**

*მაია სიგუა*

მეოცე საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში, მრავალ სხვასთან მოვლენასთან ერთად, ტოტალიტარული რეჟიმების სიმრავლითაც შევიდა, რომელთაც თავიანთი კვალი, ცხოვრების მრავალ სხვა ასპექტთან ერთად, კულტურასაც დაამჩნიეს. ამგვარი რეჟიმები სისტემატურად აიძულებდნენ კულტურას მათი იდეოლოგიური მიზნების სამსახურში ჩადგომას და რაც უფრო რეპრესიული იყო პოლიტიკური სისტემა, მით უფრო ინტენსიურად ხდებოდა კულტურული პრაქტიკებისა და დისციპლინების პოლიტიზაცია, მათ შორის — მუსიკისა და მუსიკოლოგიის. ასეთ პირობებში კულტურა, შესაძლოა, არა მთლიანად, მაგრამ დიდწილად, კარგავს ავტონომიას და იდენტობის კონსტრუირების, ნორმატიული ესთეტიკისა და სოციალური კონტროლის ინსტრუმენტად იქცევა. ამის მაგალითი, სხვა რეჟიმებთან ერთად, მესამე რაიხიც იყო, რომელიც პირველივე წლებიდან ეძიებდა ლეგიტიმაციას პრესტიჟული კულტურული, განსაკუთრებით კი მუსიკალური დაწესებულებების მხრიდან, ხოლო მუსიკოლოგიას, როგორც „მეცნიერული“ ავტორიტეტის მქონე დისციპლინას, განსაკუთრებულ როლს აკისრებდა: იგი რეჟიმს აძლევდა შესაძლებლობას, იდეოლოგიური მოთხოვნები წარმოეჩინა, როგორც ობიექტური, ისტორიულად გამართლებული და ესთეტიკურად აუცილებელი. სწორედ ამ პერსპექტივიდან, რამდენიმე კონკრეტული მაგალითის საფუძველზე განიხილება მესამე რაიხის მუსიკოლოგების ჩართულობა კულტურულ პოლიტიკაში.

## **მუსიკა როგორც სამოქალაქო წინააღმდეგობის ფორმა დღევანდელი საქართველოს საპროტესტო მოძრაობაში**

*ნინო ჟვანია, თამარ ჟვანია*

ნაშრომი იკვლევს მუსიკის როლს თანამედროვე ქართულ საპროტესტო მოძრაობაში და განიხილავს მას, როგორც სამოქალაქო წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმას. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ იქცევა ინდივიდუალური მუსიკალური აქტივობა - სიმღერა, დაკვრა, გალობა ან უბრალოდ მოსმენა - საჯარო სივრცეში პოლიტიკური და მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის გზად.

პროტესტის დროს მუსიკა ადამიანებს ეხმარება შიშის დაძლევაში, ერთმანეთთან დაკავშირებაში და საკუთარი იდენტობის განცდის განმტკიცებაში. პირადი ემოცია, რომელიც მუსიკით გამოიხატება, კოლექტიურ გამოცდილებად იქცევა და ქმნის საერთო საპროტესტო ხმოვან გარემოს. ეს ხმები ხშირად სპონტანური და დროებითია, მაგრამ სწორედ ამ მოკლე მომენტებში იძენს ის სოციალურ ძალას.

პროტესტის კონტექსტში მუსიკა ქმნის ალტერნატიულ სცენას, რომელიც უპირისპირდება ინსტიტუციურ, იდეოლოგიურად კონტროლირებულ და პროპაგანდისტულ სამუსიკო ხელოვნებას. განსხვავებით ოფიციალური სცენისგან, სადაც მუსიკა ძალაუფლების დემონსტრირების ინსტრუმენტად გამოიყენება, საპროტესტო მუსიკა ეფუძნება პირად გამოცდილებას, ემოციურ ავთენტურობას და კოლექტიურ თანაზიარეობას. სწორედ ამით იძენს იგი ეთიკურ და პოლიტიკურ ძალას.

ნაშრომში ასევე განხილულია მეხსიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის როლი - როგორ ახდენს წარსული მუსიკა გავლენას იმაზე, რას მღერიან და უკრავენ ადამიანები პროტესტის დროს დღეს. თანამედროვე საპროტესტო პრაქტიკის ისტორიულ კონტექსტში განხილვით, კვლევა აჩვენებს, რომ მუსიკა აერთიანებს ინდივიდუალურ გამოცდილებასა და კოლექტიურ პასუხისმგებლობას და პირად მუსიკალურ აქტივობას საზოგადოებრივ აქტად გარდაქმნის.

## **რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტიანე“ ახლადგამოცემული პარტიტურის შესახებ**

**შიო აბრახამია**

„ქრისტიანე“ ქართულ სცენაზე სრული სახით განხორციელებული პირველი ეროვნული ოპერაა. რევაზ გოგნიაშვილის ქმნილება, რომლითაც 1918 წელს დაიწყო ქართული საოპერო ხელოვნების სცენური ისტორია, რეპერტუარიდან 1921 წელს მოიხსნა და მას შემდგომ აღარ დადგმულა.

დროთა განმავლობაში, მივიწყებას მიეცა, როგორც ოპერა, ისე მისი ავტორის სახელიც; დაიკარგა საოპერო კლავირები და პარტიტურები; აფიშები და პროგრამები. თავად ოპერამ, საბჭოთა პერიოდის მუსიკოლოგიურ გამოცემებში პირველის სტატუსიც დაკარგა.

საბოლოოდ, 1990-იან წლებში მუსიკოლოგმა მზია ჯაფარიძემ საქართველოს „ხელოვნების სასახლეში“ აღურიცხავ დოკუმენტთა შორის შემთხვევით აღმოაჩინა ავტორისული ეგრეთ წოდებული შავი სამუშაო ვერსია პარტიტურისა, რითაც ის საბოლოოდ დაკარგვას გადაარჩინა.

აღმოჩენილი პარტიტურა მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდებოდა: მას სრულად არ ახლდა ლიბრეტო, ხშირად გაურკვეველი იყო ხელნაწერი; საგუნდო პარტია წარმოდგენილი იყო არასრული ვერტიკალით - მხოლოდ ერთი ხმით; სანოტო ფიქსაცია რიგ ეპიზოდებში გამქრალი, ან საერთო ჰარმონიულ კონტექსტთან შეუთავსებელი იყო. პარტიტურის მეცნიერული კვლევა რიგი ობიექტური მიზეზების გამო გაჭიანურდა - შესწავლის პროცესი 2013 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდა მისი სრული რედაქციითა და გამოცემით.

მოხსენების ძირითადი ნაწილი ეძღვნება პარტიტურაზე მუშაობის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ანალიზს - ლიბრეტოს ფრაგმენტულობას, სანოტო მასალის გაურკვეველ ადგილებს, დინამიკური ნიუანსების არარსებობას, საგუნდო პარტიტურის არასრულ ვერტიკალს და სხვა პრობლემებს. ამასთან, გაანალიზებულია ოპერის მუსიკალური ენა და მხატვრული ღირებულება - გამოკვეთილია ის სტილური სიახლეები და დრამატურგიული ხაზები, რომლებმაც შემდგომში ფართო განვითარება ჰპოვა ქართულ კლასიკურ საოპერო ხელოვნებაში.

### **იმპროვიზაციულობის პრინციპი ბაროკოს ეპოქის პრელუდიაში**

**რუსულან თაბაგარი**

იმპროვიზაციულობა თავიდანვე მუსიკალური ხელოვნების თანმდევი იყო და სხვადასხვა ეპოქაში, ხალხურ თუ პროფესიულ საკომპოზიტორო-საშემსრულებლო პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით იჩენდა თავს. მუსიკალური იმპროვიზაცია წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების განსაკუთრებულ სახეს, რომელიც გულისხმობს ნაწარმოების საბოლოო სახით შექმნას უშუალოდ მისი შესრულების პროცესში.

იმპროვიზაციულობის ფენომენი დამახასიათებელი იყო ბაროკოს ეპოქისთვისაც და ვლინდებოდა სხვადასხვა ჟანრსა თუ ფორმაში. მოხსენებაში განიხილება ბაროკოს ეპოქის პრელუდიის ჟანრი (ე. წ. unmeasured prelude), რომელიც მეტრისა და რიტმის გარეშე იყო ჩაწერილი და გაჯერებული იყო იმპროვიზაციულობით. თუმცა, აღნიშნულ თავისუფლებასთან ერთად, შეიცავდა მთელ რიგ საშემსრულებლო წესებსაც.